2,8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (აიპ)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელის სახე:

☐ **<u>უნივერსიტეტი</u>**

☐ სასწავლო უნივერსიტეტი

☐ კოლეჯი

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ <u>ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ <u>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ <u>დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა (საჭიროებს შემდგომ აკრედიტაციას);</u>

☐ <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;</u>

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **თამარ ვეფხვაძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ნინო ფეტვიაშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **მარიამ დარბაიძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ნატო ალავიძე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 1

ბ.ა.

ს ს ი პ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
შემოსული № 100883
25 03 2013 წ.
დანართი: 88 ფ.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

II. დაწესებულების მისია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოქმედებს წესდებისა და უნივერსიტეტში გამოცემული აქტების შესაბამისად.
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისიაა „მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი ცოდნის შექმნა."

III. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)

შეფასება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტს აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია, მითითებულია შესაბამისი კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები).

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია 15 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, 5 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, 1 ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ვეტერინარია) და 1 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. აგრონომია; 2. მშენებლობა; 3. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია; 4. აგროინჟინერია; 5. ელექტროინჟინერია და მართვის ავტომატიზირებული სისტემები; 6. სამართალმცოდნეობა (მილევადი); 7. ჟურნალისტიკა (მილევადი); 8. ბიზნესის ადმინისტრირება; 9. მეცხოველეობა; 10. კვების პროდუქტების ტექნოლოგიები; 11. მევენახეობა-მეღვინეობა; 12. ქიმია; 13. ვეტერინარია-მეცხოველეობა; 14. სატყეო საქმე; 15. ბიოლოგია.	1. აგრონომიის ბაკალავრი; 2. ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობაში; 3. მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის ბაკალავრი; 4. აგროინჟინერიის ბაკალავრი; 5. ინჟინერიის ბაკალავრი; 6.სამართალმცოდნეობის ბაკალავრი; 7. სოციალური მეცნიერებების ბაკალავრივრი; 8. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი; 9. მეცხოველეობის ბაკალავრი; 10. სასურსათო ტექნოლოგიების ბაკალავრი; 11. აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი; 12. ქიმიის ბაკალავრი; 13. აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი; 14. სატყეო საქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 3

ბ.ა.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

		ბაკალავრი; 15. ბიოლოგიის ბაკალავრი.
მაგისტრატურა	1. აგრარული მეცნიერებანი; 2. აგრობიოტექნოლოგია; 3. აგრობიოტექნოლოგია (ინგლისურენოვანი); 4. საინჟინრო ტექნოლოგიები; 5. ბიზნესის ადმინისტრირება.	1.1. აგრონომიის მაგისტრი; 1.2 მეცხოველეობის მაგისტრი; 1.3. სასურსათო ტექნოლოგიების მაგისტრი; 1.4. ვეტერინარიის მაგისტრი; 1.5. სატყეო საქმის მაგისტრი. 2. აგრობიოტექნოლოგიის მაგისტრი 3. MSc in Agrobiotechnology 4.1. ინჟინერიის მაგისტრი სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაციაში; 4.2 ინჟინერიის მაგისტრი ავტომატიზაციასა და მართვის სისტემებში; 4.3 ბიოსამედიცინო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 4

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

		ინჟინერიის მაგისტრი; 4.4 ინჟინერიის მაგისტრი სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში; 4.5 ინჟინერიის მაგისტრი სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციაში; 4.6 ინჟინერიის მაგისტრი სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში; 4.7 მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის მაგისტრი. 5. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი.
დოქტორანტურა	სადოქტორო პროგრამა - აგრარული მეცნიერებანი	1. აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი
ერთსაფეხურიანი	ვეტერინარია	1. დიპლომირებული ვეტერინარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 5

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 5

ბ.ა.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

დასტურდება:

არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით, სასწავლო კურსების სილაბუსებით.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ

შეფასება:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ზოგად ინფორმაციას დაწესებულების სახელწოდების, მისიის, საკონტაქტო პირის შესახებ. კატალოგში მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კრედიტების დაგროვებისა და შეფასების წესი.

დასტურდება:

წარმოდგენილი კატალოგით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე www.agruni.edu.ge .

1.3 საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 6

ბ.ა.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემულია კვალიფიკაციის აღმწერი, რომელშიც განსაზღვრულია დარგობრივი კომპეტენციების მოთხოვნები.

დასტურდება:

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებით (დამტკიცებულია 2013 წლის 18 მარტს, ხოლო სადოქტორო აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია 2013 წლის 08 თებერვალს), რომლებიც შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად, დარგობრივი სტანდარტების მიხედვით.

1.4 დაწესებულებას თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო საფეხურზე, სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი. საქართველოს უმაღლესი განათლების კანონის შესაბამისად გამოცემულია აქტები.

დასტურდება:

„სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით," რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 18 მარტს 2013 წ. სასწავლო პროცესის რეგულირების წესში განსაზღვრულია როგორც აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პრგრამებზე სწავლებისა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 7

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 7

ბ.ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.5 დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას

შეფასება:

აგრარული უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობას. კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის მიზნით, სტუდენტს შეუძლია დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აირჩიოს ფაკულტეტზე არსებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ–ერთი.
2. შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამიდან სტუდენტს საშუალება ეძლევა შეარჩიოს მისთვის სასურველი არჩევითი საგნები საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და სპეციალობის დისციპლინებიდან.
3. სტუდენტს საშუალება ეძლევა აირჩიოს დამატებითი კომპონენტები. მეორადი სპეციალობის შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა საშუალება აირჩიოს სპეციალობა და სპეციალიზაცია.

დასტურდება:

„სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით," რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 18 მარტს 2013 წ. ასევე არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით, სასწავლო გეგმებით, სილაბუსებით.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი

შეფასება:

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, კერძოდ:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში უნივერსიტეტი, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს სთავაზობს ისეთ სასწავლო პროგრამას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება იმ კვალიფიკაციის მინიჭება, რაც მიიღწეოდა იმ სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 8

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 8

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი სტუდენტს აძლევს მიმდინარე სასწავლო წლის დასრულების შესაძლებლობას. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისთანავე, საუ უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას გაუქმებული პროგრამის ხანგრძლივობაზე და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა უსდ-ში გადასვლაში.

3. ჯგუფში 10 სტუდენტამდე არსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტი განიხილავს ჯგუფის არსებობის მიზანშეწონილობისა და გაუქმების საკითხს.

4. ჯგუფის გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას და ხელს უწყობს უნივერსიტეტის ფარგლებში სხვა მიმდინარე პროგრამაზე ან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლაში.

5. პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დასაშვებია მხოლოდ მომიჯნავე პროგრამების გაერთიანება. გაერთიანებული პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ გავლილ სასწავლო კურსებს შესაბამისი კრედიტებით.

დასტურდება:

„სტუდენტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესით," რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 18 მარტს 2013 წ.

1.7 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებელთა, მკვლევართა ან მოწვეული პერსონალის მიერ.

შეფასება:

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ.

დასტურდება:

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ასევე - კონკურსის შედეგად არჩეული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმანტაციით.

9

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

9

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

L.S.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

1.8 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

შეფასება:

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი ფორმების საშუალებით სტუდენტების პერმანენტულ გამოკითხვებს აკადემიური პერსონალისა და სასწავლო პროცესის შესახებ. არსებული ფორმები დაიცავს სტუდენტის ანონიმურობის პრინციპს. აღნიშნული ფორმით გამოკითხვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დასახავს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით (დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 18 მარტს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 10

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 10

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ადგილმდებარეობა - 0131 ქ. თბილისი – დიღომი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.	36 415

დაწესებულების სასწავლო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ადგილმდებარეობა - 0131 ქ. თბილისი – დიღომი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.	14 387

დაწესებულების დამხმარე ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი ადგილმდებარეობა- 0131 ქ. თბილისი – დიღომი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.	22 028

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 11

მ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

შემდეგი დოკუმენტაციით: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - რეგისტრაციის № 882013001768 – 04/01/2013, მიწის საკადასტრო კოდით № 01.72.14.006.538, შენობა-ნაგებობების ნახაზი და ტექნიკური პასპორტი. იჯარის ხელშეკრულებით № 1/13 – 03.01.2013 - ა(ა)იპ აგრარულ უნივერსიტეტსა და შ.პ.ს „აგრომეტს" შორის უძრავი ქონების ქირავნობაზე ერთი წლის ვადით (იხ. დანართი 1 - 5 გვერდად).

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები

შეფასება:

ა(ა)იპ აგრარულ უნივერსიტეტსა და შ.პ.ს „აგრომეტს" შორის გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება № 5/13 – 07.02.2013 - მომრავი ქონებით სარგებლობაზე ხუთი წლის ვადით (იხ. დანართი 2 – 61 გვერდად). ამასთან, მომრავი ქონება მოიცავს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ინვენტარს: მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები, ფაქსის აპარატები, ლაბორატორიული დანადგარები და აღჭურვილობა, სატრანსპორტო საშუალებები (ტრაქტორი, ჩარხები) და სხვ. ამასთან, ამჟამად უნივერსიტეტში 562 კომპიუტერია. ისინი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, საგამოცდო ცენტრში და თანამშრომლების მოხმარებისთვის (183 ნოუთ-ბუკი). ამას გარდა, 989 ნოუთ-ბუკი გაცემულია სტუდენტთა მოხმარებისთვის. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით.

იჯარით აღებული მომრავი ქონების საინვენტარიზაციო ნუსხით.

2.2 დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები უზრუნველყოფს დაწესებულების მისიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 12

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 12

ბ.ა.

21132565.3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად საქართველოს განათლების კანონის მოთხოვნების დაცვით და აკმაყოფილებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტატუსის მოპოვების განაცხადის მქონე დაწესებულებისათვის. მომქმედი სტრუქტურა და არსებული საშტატო განრიგი შეესაბამება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობას.

დასტურდება:

არსებული სტრუქტურით, რომელიც შედგენილია მომქმედი წესდების შესაბამისად (დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს - შტამპი #300 - მიერ - 2011 წლის 24 მარტს) და არსებული მომქმედი საშტატო განრიგით, სადაც ასახულია, როგორც ძირითადი ასევე დაქვემდებარებული სტრუქტურები. სტრუქტურებს გააჩნიათ შესაბამისი საქმიანობის აქტები, რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2.3 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დასტურდება:

ადგილზე დათვალიერებით.

2.4 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 13

ბ.ს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
  ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
  გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
  დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. არსებობს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

დასტურდება:

- დაწესებულებაში არსებული დოკუმენტებით, აგრეთვე ადგილზე დათვალიერებით.

2.5 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის

შეფასება:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის, კერძოდ, სახეზეა როგორც პანდუსები, ასევე ლიფტები. უნივერსიტეტში არის ასევე ადაპტირებული სველი წერტილები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის.

დასტურდება:

- ვიზუალური დათვალიერებით.

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

14

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

2.6 მატერიალური რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის

შეფასება:

ამჟამად უნივერსიტეტში 562 კომპიუტერია. ისინი განთავსებულია ბიბლიოთეკაში, საგამოცდო ცენტრში და თანამშრომლების მოხმარებისთვის (183 ნოუთ-ბუკი). ამას გარდა, 989 ნოუთ-ბუკი გაცემულია სტუდენტთა მოხმარებისთვის. ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით, საინვენტარიზაციო ნუსხით, შესყიდვის აქტებით (იხ. დანართი 2 - 61 გვერდად).

2.7 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

შეფასება:

საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში და უნივერსიტეტის მართვაში. კერძოდ:
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს ელექტრონული საძიებო კატალოგი (განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე), ელექტრონულ მატარებელზე არსებული, როგორც სამეცნიერო–კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციით.
ამასთან, დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
დაწესებულების მართვაში გამოიყენება სტუდენტთა ერთიანი რეესტრი, სადაც მითითებულია მათი აკადემიური მოსწრება, ჩარიცხვა-ამორიცხვის ბრძანებები, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებული ნიშნები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

211325653

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.

2.8 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, ასევე უზრუნველყოფილია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა

შეფასება:

ბიბლიოთეკის ფონდი ითვლის 1 672 000 ბეჭდურ ერთეულს, აქედან ელექტრონულ მატარებლებზე არსებულია 1437 ერთეული, რომელშიც სხვა მასალებთან ერთად შეტანილია საგანმანათლებლო სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არსებობს კომპიუტერებით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკაში განთავსებულია ქსეროქსის აპარატი საერთო სარგებლობისათვის.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები განისაზღვრება კვირაში 6 დღით – 46 საათით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა უზრუნველყოფილია. გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები სხვადასხვა სუბიექტებთან: EBSCO, ROYAL SOCIETY, BIO-VAN.

დასტურდება:

ბიბლიოთეკის წიგნსაცავში არსებული ბეჭდური ერთეულებით და ელექტრონულ მატარებლებზე განთავსებული მასალებით, რომელიც კატალოგის სახით განთავსებულია ვებ–გვერდზე. ბიბლიოთეკას გააჩნია სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია ელექტრონული ვერსიის სახით - ბიბლიოთეკის დაარსებიდან დღემდე - უნივერსიტეტში დაცული დისერტაციებისა და რეფერატების შესახებ დარგობრივი თემატიკის მიხედვით.

2.9 დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 16

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებობს: სისტემური, ანბანური და საგნობრივი კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი: მაგიდები, სკამები, თაროები, სათანადო განათება. ბიბლიოთეკას აქვს კომპიუტერული მომსახურების დარბაზი, სადაც ხდება ელექტრონულ რეჟიმში ინფორმაციის მიღება უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებზე და მათი განხორციელებისათვის საჭირო ლიტერატურაზე.

დასტურდება:

ბიბლიოთეკის პერიოდიკისა და საგნობრივი კატალოგების არსებობით, რომელიც განლაგებულია ბიბლიოთეკის ფოიეში, სადაც გამოკრულია ბიბლიოთეკაში ქცევის და ბიბლოთეკით სარგებლობის წესები. სამკითხველო დარბაზში არსებული ინვენტარის არსებობით, რომელიც აღრიცხულია შესაბამისი დოკუმენტაციით და ინახება უნივერსიტეტის ბუღალტერიაში (დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ვებ–გვერდზე).

2.10 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

შეფასება:

უნივერსიტეტში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. უნივერსიტეტის კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონმდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და კანცელარიის დებულებით. კანცელარია თავისი კომპენტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

უნივერსიტეტის კანცელარია ახორციელებს:

- უნივერსიტეტის დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებულ ყველა სახის საქმიანობას (შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციისათვის ინდივიდუალური ნომრების მინიჭება, სპეციალურ სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებას და ა.შ.).
- უნივერსიტეტის შემოსული და გასული კორესპოდენციის მიღება, რეგისტრაცია, დანიშნულებისამებრ გადაცემა–გადაგზავნა, დოკუმენტებზე მუშაობა და დოკუმენტებზე მუშაობის წესების დაცვა და შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- უნივერსიტეტის რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი სამართლებრივი აქტების სპეციალურ ჟურნალებში რეგისტრაცია და დანიშნულებისამებრ გადაცემა–გადაგზავნა;
- არქივის საქმიანობის წარმართვა, არქივისათვის მიკუთნებული დოკუმენტების გადაცემა, დაცვის, აღრიცხვა, სრულყოფა და სწრაფი გამოყენების უზრუნველყოფა;
- დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა (ბლანკზე დატანა, ქსეროქსის მომსახურეობა და ა.შ);
- დოკუმენტების მომზადების ვადებისა და გაფორმების წესის დაცვის კონტროლი;
- შესრულებული დოკუმენტის ჩამოწერა და საქმეში მოთავსება, საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების საქმეებად ფორმირება.

დასტურდება:

უნივერსიტეტის კანცელარიაში არსებული საქმისწარმოებით, შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, აღრიცხვისა და შენახვის ფორმებით. წლების შესაბამისად საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების ფორმირებით.

2.11 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

შეფასება:

უნივერსიტეტის ვებ გვერდის მისამართია: www.agruni.edu.ge, სადაც განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია, სტუქტურა, დაწესებულების პერსონალი, იურიდიული ცნობარი და ა.შ. ვებ–გვერზე ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, საიტზე განთავსებულია მნახველთა აღრიცხვის მრიცხველი. თუმცა, ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ახალი ვებ-გვერდის შექმნისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 18

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- დასტურდება:

ვებ–გვერდის ვიზუალური დათვალიერებით.

2.12 უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევების დაფინანსება

შეფასება:

უნივერსიტეტის ბიუჯეტში 2013 წელს გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, რაც შეადგენს 2 942 994 ლარს.

დასტურდება:

- ადგილზე გადამოწმებით, კერძოდ, აგრარული უნივერსიტეტის საგრანტო პროექტების რეესტრით (იხ. დანართი 3 – 3 გვერდად).

2.13 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

შეფასება:

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2013 წლის 20 მარტს და განვითარების ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასევე დამტკიცებულია 2013 წლის 20 მარტს, სადაც განსაზღვრულია განვითარების გეგმები, დასახულია უნივერსიტეტის სამომავლო მიზნები და ამოცანები, შემუშავებულია უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა.

- დასტურდება:

არსებული გეგმებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 19

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

შეფასება:

აგრარულ უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის, მოწვეული პერსონალის, მკვლევართა და მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „პერსონალის შერჩევის წესი" (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 18 მარტს). ამ წესში გათვალისწინებულია შესაბამისი დარგის, მიმართულებისა და სპეციალობების მიხედვით სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირთა შესარჩევი კრიტერიუმები, აუცილებელი მოთხოვნები, კომპეტენცია, აკადემიური ხარისხის, განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და პუბლიკაციის შესახებ ინფორმაცია და სხვ.

დასტურდება:

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმანტაციით, „პერსონალის შერჩევის წესით" (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 18 მარტს - იხ. დანართი 4 - 7 გვერდად).

3.2 დაწესებულებაში სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების სახისა და პროგრამების რაოდენობის მიხედვით

შეფასება:

დღეისათვის უნივერსიტეტში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა არის 22, ამ პროგრამებზე დღევანდელი მონაცემით სწავლობს 2121 სტუდენტი, აკადემიური პერსონალის რაოდენობა ძირითად შტატში შეადგენს 131. მათ შორის: სრული პროფესორი - 53; ასოცირებული პროფესორი - 40; ასისტენტ პროფესორი - 38.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 20

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა: 2121 (1993-ბაკალავრიატი და ერთსაფეხურიანი, 110-მაგისტრატურა, 18-პროფესიული)

დაწესებულების აკადემიური პერსონალის რაოდენობა:

აკადემიური პერსონალი	რაოდენობა
სრული პროფესორი	53
ასოცირებული პროფესორი	40
ასისტენტ-პროფესორი	38

დაწესებულების სტუდენტების რაოდენობა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:

საგანმანათლებლო პროგრამა	რაოდენობა
საბაკალავრო პროგრამა	15
სამაგისტრო პროგრამა	5
სადოქტორო პროგრამა	1
ერთსაფეხურიანი	1
სხვა უმაღლესი პროფესიული პროგრამა (მილევად რეჟიმში)	-
ქართულენოვანი პროგრამა არაქართველი მოსახლეობისათვის	-

დასტურდება:

შესაბამისი ნორმატიული აქტებით, ასევე რეესტრის მონაცემებით, სადაც ასახულია როგორც სტუდენტთა არსებული კონტინგენტი, ასევე მობილობის შედეგად განხორციელებული გადაადგილებები.

3.3 საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 21

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 21

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

- საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებიც ხორციელდება მხოლოდ მოწვეული პერსონალის, მკვლევარების ან მასწავლებლების მიერ უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს.

დასტურდება:

ასეთი სახის პროგრამები უნივერსიტეტში არ ხორციელდება.

3.4 აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

შეფასება:

აკადემიური პერსონალის შერჩევა უნივერსიტეტში ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, დაწესებულებაში გამოცხადდა ღია კონკურსი, რომელიც შეესაბამება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები გამოქვეყნებული იყო საჯაროდ საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად - 2013 წლის 09 თებერვალს, დოკუმენტების მიღება უნივერსიტეტში დაიწყო 2013 წლის 09 მარტს და კონკურსი დასრულდა 2013 წლის 14 მარტს. შერჩეულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. აღნიშნული დასტურდება საკონკურსო დოკუმენტაციითა და აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით.

დასტურდება:

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმანტაციით, „პერსონალის შერჩევის წესით" (რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2013 წლის 18 მარტს - იხ. დანართი 4 - 7 გვერდად).

3.5 აკადემიურ პერსონალთან, მოწვეული პერსონალთან, მკვლევარებთან ან მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 22 _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 22 _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

შეფასება:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომითი ხელშეკრულებების ფორმები, რომლებიც თანხვედრაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და თითოეულ ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს ბრძანება აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის შედეგების შესახებ. უნივერსიტეტში საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესის შესაბამისად გაფორმებულია ხელშეკრულებები - როგორც აკადემიურ პერსონალთან – 131; ასევე მოწვეულ პერსონალთან – 79.

დასტურდება:

შესაბამისი დოკუმენტაციით - აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, ხელშეკრულებებით, რომელიც გაფორმებულია თითოეულ პედაგოგთან და ინახება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში (იხ. დანართი 5 - მონაცემები სტუდენტთა რაოდენობისა და აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შესახებ - 12 გვერდად).

• თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დაკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები - 5 დანართი - 88 გვერდად.

დანართი 1 - 5 გვერდად.
დანართი 2 - 61 გვერდად.
დანართი 3 - 3 გვერდად.
დანართი 4 - 7 გვერდად.
დანართი 5 - 12 გვერდად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____ 23
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ 23
ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე

ქ. თბილისი,
დავით აღმაშენებლის ხეივანი,
მე-12-ე კილომეტრი.

23. 03. 2013.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 24
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა 24

ბ.ა.

211325653